ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით შარაშიძეს

მუნიციპლიტეტის მერის მინდია ჟღერიას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის #3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2017 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საქართველოს კანონი ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ". კანონის მიღებამ ერთ საკანონმდებლო ჩარჩოში მოაქცია საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების საკითხი. კანონის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში არსებული თანამდებობის თანამდებობრივი სარგოს გამოთვლის მიზნებისთვის, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განისაზღვრება, საბაზო თანამდებობრივი სარგო ნომინალურ გამოხატულებაში, რომლის დადგენილი წესით, განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე ნამრავლით, მიიღება კონკრეტული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგო კონკრეტული საბიუჯეტო წლისთვის. პოლიტიკური თანამდებობის პირის თანამდებობრივი სარგო დგინდება, ამავე კანონით დადგენილი, შესაბამისი ზედა ზღვრის კოეფიციენტის ფარგლებში განსაზღვრული კოეფიციენტის საბაზო თანამდებობრივ სარგოზე ნამრავლით და აისახება შესაბამისი საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები ასევე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული

ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე. მათი თანამდებობრივი სარგო აისახება შესაბამისი საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში და არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის დადგენილი მე-10 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს.

2026 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1600 ლარის ოდენობით, რაც უზრუნველყოფს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების ზრდას 10%-ით. ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, დადგინდა, მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოები, რაც ასახულია წარმოდგენილ საშტატო ნუსხაში.

მერიაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე.